

Nino Dolidze

ნინო დოლიძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Creation and Distribution of Arabic Literary Production in the 21st Century

არაბული ლიტერატურული პროდუქციის წარმოება და გავრცელება 21-ე საუკუნეში

How Arabic literature is produced? How is it translated and distributed on the world market? A 20th century dichotomy in Arabic Culture: traditional – modern, is changed by the market orientated logic in the 21st century. Nowadays the lists of bestsellers are regulated by local book market and by different international literary prizes. But the problem is that sometimes none of them are objective, as Western prizes or priorities might be different from the Arabic literary canon. World literature is also under the influence of global market. So, the internationalization of Arabic Literary product largely depends on commerce.

Key Words: Arabic Literature, World Literature, Book Market

საკვანძო სიტყვები: არაბული ლიტერატურა, მსოფლიო ლიტერატურა, წიგნების ბაზრობა

წინამდებარე სტატია შეეხება არაბულ ლიტერატურას როგორც ინდუსტრიას 21-ე ს-ში. ვიდრე ლიტერატურის როგორც კულტურის პროდუქტის გავრცელების საკითხს განვიხილავდეთ არაბულ ქვეყნებსა თუ მის ფარგლებს გარეთ, თვალი გადავავლოთ ზოგადად სამწერლო პროცესს. ერთ სტატიაში შეუძლებელია ყველა არაბულ ქვეყანაზე წერა. ამიტომ უფრო ეგვიპტეში არსებულ ვითარებაზე გავამახვილებ ყურადღებას. მეტ-ნაკლებად იგივე ტენდენციები იკვეთება სხვა არაბულ ქვეყნებშიც.

მე-20 ს-ის ბოლომდე ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში მკვეთრად იყო გამიჯნული „მაღალი ლიტერატურა“ და პოპკულტურა. ეს უკანასკნელი განიხილებოდა როგორც უფრო კომერციული, ნაკლებპატივცემული თუ ნაკლებად რეპრეზენტატიული ნაწარმი, რომელსაც ინტელექტუალები ზემოდან უყურებდნენ. თუმცა, მასაც აღმოაჩნდა დადებითი მხარე – უშუალობა, მეტი კავშირი ხალხის აზრთან, ყოველდღიურ ყოფასთან, რასაც „ჟემმარტი“ ხელოვნების ესთეტიკა არ ღებულობდა და ხშირად მის უარყოფით ნიშნადაც კი აღიქვამდა. (Jacquemond, 2013, p. 37) ე.წ. „მაღალი“ და პოპულარული კულტურა რადიკალურად უპირისპირდებოდა ერთმანეთს. ისინი გადაკვეთის წერტილს ვერ პოულობდნენ. პოპკულტურა განსაკუთრებულ ყურადღებას არ მოითხოვდა და არც მარკეტინგული სტრატეგიებით გამოირჩეოდა. ის უფრო მასების თვითგამოხატვის საშუალება იყო. ამ მარგინალიზებულ ლიტერატურულ ტექსტებს ცოტა რამ ჰქონდა საერთო

ელიტის მიერ შექმნილ ე.წ. „ლეგიტიმურ“ ლიტერატურასთან, რომელიც კონკრეტული ჟანრებით, ავტორებითა და სტილით გამოირჩეოდა. მოგეხსენებათ, კოლონიზებული არაბული ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანი იყო ტრადიციის ხაზგასმაცა და ევროპული სიახლეების ათვისებაც, რასაც წარმატებით ახერხებდა „ნორმატიული“ / „ადიარებული“ მწერლობა. 21-ე ს-ში კი დასავლური იდეოლოგიების, კულტურული კონცეპტების იმპორტირებასთან მარტო ელიტარული ლიტერატურა აღარ ასოცირდება. მედიისა თუ უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით პოპულტურაც მჭიდროდ დაუკავშირდა დასავლეთს.

მუბარაქის მმართველობის ბოლო წლებში ნეოლიბერალიზმის წყალობით (როცა კორუმპირებული ბიუროკრატის მცირერიცხოვანი ელიტა მდიდრდებოდა) გამოხატვის შედარებით მეტი თავისუფლების პირობებში განვითარდა სატირული და სოციალური რეალიზმის შემცველი მხატვრული ლიტერატურა, რომლის საშუალებით სოციალური და პოლიტიკური კრიტიკა გამოითქვა. მწერლებმა განაახლეს და ხელახლა გააქტიურეს მდიდარი ეროვნული სამწერლო ტრადიცია – სოცრეალიზმიცა და სატირაც ხომ ახალი არაბული ლიტერატურის პირველსავე ეგვიპტურ ნიმუშში – ალ-მუვაილიზის მაკამა-რომანში „ჰადის ისა იბნ ჰიშამის ამბავი“ ჯერ კიდევ 1907 წელს გამოჩნდა (იხ. დოლიძე, 2006, გვ. 199-204) მუბარაქის ეპოქაში იგივე ფუნქცია შეასრულა სუნ' ალ-ლაჰ იბრაჰიმის „ზათამა“ (1992). აქაც ეგვიპტის სოციალური ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტი ჩანს. იბრაჰიმმა წინამორბედივით მოახერხა სატირისა და რეალისტური ფიქციის შერწყმა, რაც ზოგადად იშვიათობაა მე-20 ს-ის არაბული ლიტერატურისთვის – ეს ორი ავტონომიური ჟანრია. გასული საუკუნის განმავლობაში ერთი – სოცრეალიზმი კანონიზებულ იქნა როგორც რეალისტური რომანი, ხოლო მეორე – სატირა – მარგინალიზებული როგორც წერის მსუბუქი ფორმა.¹ არადა, ალაა ალ-ასვანის (1957-), ხალიდ ალ-ხამისისა (1962-) და სხვათა სატირულმა პროზამ დიდად შეუწყო ხელი მკითხველთა პოლიტიკური თვითშეგნების ჩამოყალიბებას ავტორიტარულ და ნეოლიბერალურ კონტექსტში, რომელშიც ისინი იზრდებოდნენ და სადაც პოლიტიკური თემები საზოგადო განხილვის საგანი არ იყო, ხოლო პოლიტიკური აქტივობა უაზრობად ან სუიციდურად ითვლებოდა. ალ-ასვანის განათლება აშშ-ში ჰქონდა მიღებული, ალ-ხამისის – საფრანგეთში. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ თავიანთი პოპულარობა ეროვნული პოლიტიკის გასატარებლად, დემოკრატიული ეგვიპტის ინტერესების დასაცავად გამოეყენებინათ. (Albers, 2021, p. 155)

21-ე ს-ის არაბული მწერლობა დიდწილად განსაზღვრა „არაბული გაზაფხულით“ გამოწვეულმა პოლიტიკურმა ტრანსფორმაციამ. თუმცა, თუ რევოლუციები 2010-2013 წლებში მოხდა, კულტურის ცვლილებების პროცესი 2000-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო, შემდგომი პოლიტიკური ცვლილებების ფონზე კი დაჩქარდა. ეს ცვლილებები, პირველ რიგში, ინტერნეტის გაჩენამ გამოიწვია. მან წინ წამოსწია პოპულტურა, სუბკულტურა და ელექტრონულად ხელმისაწვდომი გახდა ისინი. პოლიტიკურმა წინააღმდეგობამ უფრო კრეატიული ფორმა მიიღო – ტრადიციულ ჟანრებს და ფორმებს დაემატა სამეცნიერო ფანტასტიკა, გრაფიკული რომანი, ბლოგი, გრაფიტი, ლოზუნგები, მოწოდებები თუ ანეკდოტები და კარიკატურები. ზოგადად, 21-ე ს-ში პოპულარულმა კულტურამ მთელს ახლო აღმოსავლეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. მას შესწევდა ძალა, გავლენა მოეხდინა საზოგადოებრივ აზრზე და დაენგრია სტერეოტიპები. მართალია, ის მასმედიასთან ასოცირდებოდა და თავიდან ზედაპირულადაც მიიჩნეოდა, რის გამოც გაუჭირდათ მისი სერიოზულად აღქმა, მაგრამ დღეს ფაქტობრივად მკვეთრი ზღვარიც აღარ იგრძნობა მეინსტრიმსა და პოპულარულ ხელოვნებას შორის.² „არაბული გაზაფხულის“ პერიოდში იმდენად გააქ-

¹ ამგვარ მსუბუქ ფორმად იქნა აღქმული მაგ., აბბას ალ-ასვანის 1970 წელს გამოცემული „მაკამები“ (იხ. დოლიძე, 2005)

² ასეთი დიქტომია დასავლეთშიც არსებობდა. პოპულტურა იქაც პროტესტითა და წინააღმდეგობით იყო გამსჭვალული და თავისი რეზისტანსული სულით დომინანტურ კულტურას ებრძოდა.

ტიურდა სოცმედია (ბლოგერები და სხვ.), რომ გეოპოლიტიკურ კონტექსტში ვითარების ანალიზისთვის ამ ნაწერების შესწავლა და შეფასება გადამწყვეტი მნიშვნელობის გახდა (Albers, 2021, p. 156). ახალგაზრდა ავტორებმა დიდი როლი შეასრულეს 2011 წლის რევოლუციაში მაშინ, როცა უფროსი თაობის ინტელექტუალთა ნაწერების ერთ-ერთი მთავარი თემა სწორედ ახალგაზრდების პოლიტიკური აპათიის კრიტიკა იყო – სტერეოტიპული მოსაზრების თანახმად, მათ ეგვიპტის განათლების სისტემის მიერ ტვინი ჰქონდათ გამორეცხილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მე-20 ს-ის არაბული მწერლობისთვის ტრადიციულისა და მოდერნულის ერთგვარი თანაარსებობა იყო დამახასიათებელი. მაგ., ეგვიპტეში ჩნდებოდნენ მწერლები, რომლებიც თან იყენებდნენ ტრადიციას, თან უჯანყდებოდნენ მას. შეიძლება გამოვყოთ „1919 წლის თაობა“, „პოსტ-1945 წლის (ან 1953 წლის) თაობა“, „60-იანელთა თაობა“, „90-იანელთა თაობა“. თითოეულს თეორიულად დადგენილი, განსაზღვრული შემოქმედებითი კრიტერიუმები ჰქონდა. მათი აქტორები ერთობლივი ესთეტიკური რევოლუციის მესვეურებად აღიქმებოდნენ. 21-ე ს-ში გაჩენილი მწერლები კი მთლიანი, მონოლითური, კოლექტიური ლიტერატურული ავანგარდის ნაწილად არასოდეს მოიაზრებენ თავს, რაც მათი შემოქმედების ბუნებიდან გამომდინარეობს. აქ არც ესთეტიკურ ინოვაციებთან გვაქვს საქმე, რაც მკითხველ აუდიტორიას ერთიორად გაზრდიდა. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ჩვენ წინაშეა არაბული სამწერლო სფეროს ახალი კონფიგურაცია, სადაც 80-იან და 90-იან წლებში არსებული ოპოზიცია ლიტერატურულ ავანგარდსა და ისტებლიშმენტს შორის შეიცვალა ბაზარზე ორიენტირებული ლოგიკით. თუ ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს ავანგარდისტი ავტორები ლიტერატურული ელიტის მიერ გარიყული აუტსაიდერები იყვნენ, თვითდამკვიდრებისთვის იბრძოდნენ, 21-ე ს-ში ლიტერატურულმა დაჯგუფებებმა თუ მოძრაობებმა, როგორც სიმბოლური ძალაუფლების მოპოვების ძირითადმა ინსტრუმენტმა, ფუნქცია დაკარგა. ყველა ავტორი ინდივიდუალურად ცდილობს, მოიპოვოს ნიშა ადგილობრივ თუ მსოფლიო ბაზარზე.

უკვე აღვნიშნეთ, რომ მე-20 ს-ში პოპულარულ ლიტერატურად ტრივიალური ესთეტიკური ღირებულების მქონე ნაწარმოები განიხილებოდა, რაც ერთგვარი გადახრა იყო ელიტარული ლიტერატურული კანონიდან, თუმცა 50-იან წლებში ეგვიპტელი იჰსან აბდ ალ-კუდუსის (1919-1990) სოციალური რომანტიკული რომანები, ნაბილ ფარუკის (1956-2020) ჯამშუმობაზე დაწერილი სერია თუ 80-იანი წლებიდან გაჩენილი ტექსტები საერთოდ არ ჯდებოდა ამ კანონში, რასაც 21-ე ს-ში აჰმად ხალიდ თავფიკის (1962-2018) დისტოპიური რომანებიც დაემატა. 2008 წელს გამოცემულ უტოპიაში თავფიკმა 2023 წლის ეგვიპტის შემზარავი მომავალი ასახა. ეს იყო ეგვიპტური პოლიტიკის პირდაპირი კრიტიკა. რომანში წარმოდგენილი რეალობა 2011 წლის საყოველთაო პროტესტის ერთ-ერთი განმაპირობებელი გახდა. ერთი შეხედვით არაელიტარულმა, პოპულარულმა და მასებისთვის გამიზნულმა ლიტერატურულმა ტექსტმა უპრეცედენტო პოპულარობა მოიპოვა და დღეს ის იმ „რევოლუციურ ლიტერატურადაც“ კი განიხილება, რომელმაც საზოგადოება სათანადოდ შეამზადა პოლიტიკური ცვლილებებისთვის, პროტესტის მუხტი გაუღვივა მას და ამდენად, რევოლუციური ტალღის ხელშემწყობად მოგვევლინა. (Albers, 2021, p. 41) ყოველივე ეს აჰმად ხალიდ თავფიკმა პოპულარული ლიტერატურის ესთეტიკური ინსტრუმენტებით შეძლო. როგორც აღვნიშნეთ, 2000-იანი წლებიდან პოპულარობით სარგებლობს კომიქსის, ე.წ. კომიქს-რომანის, ან გრაფიკული რომანის ჟანრიც. არაბულ სამყაროში ის ჯერ კიდევ მე-20 ს-ის დასაწყისში გამოჩნდა, თუმცა 21-ე ს-ში სწრაფად განვითარდა – მასობრივ მკითხველზე კარგად გათვლილი, პოლიტიკური პროტესტის გამოხატვის საშუალებად იქცა. ამის მაგალითია ეგვიპტელი ავტორის მაჯდი ამ-შაფის „მეტრო“. (Albers, 2021, p. 43)

ინტერნეტის გაჩენამ არაბულ სამყაროში ერთი მხრივ, შეზღუდა ცენზურა, მეორე მხრივ, გააჩინა სოციალური კრიტიკის ღია საშუალებები, რამაც ტაბუების ნგრევას შეუწყო ხელი. ცენზურა

ძირითადად პოლიტიკურ, რელიგიურ და სექსუალურ თემებს კრძალავს. მაგალითად, 2013 წლის დეკემბერში ორი წლით დააკავეს ეგვიპტელი პოეტი ომარ ჰარუკი (1978-), რომელმაც პოლიტიკურ დემონსტრაციაზე წაიკითხა ლექსი. 2011 წლის შემდეგ შეფარული კრიტიკა ღია კონფრონტაციამ შეცვალა – თუ ადრე ავტორები სხვადასხვა საშუალებას ეძებდნენ სიმართლის სათქმელად, პოლიტიკური, სოციალური კრიტიკის გამოსახატად, ახლა ბრალი მაქსიმალურად აშკარად უნდა იყოს წარმოჩენილი. თუმცა კვლავ იზღუდება სექსუალურ იდენტობაზე წერა. 2011 წლიდან სოციალ-პოლიტიკურმა კრიტიკამ მიგრანტების, ე.წ. „ახალგადასახლებულთა“¹ მწერლობაშიც ახალი ძალით იფეთქა. ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნებული ტექსტის კონტროლი გართულებულია.

ახლო აღმოსავლეთის ლიტერატურა, განსაკუთრებით გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ყოველთვის პოლიტიზირებული იყო იქ შექმნილი რთული ვითარების გამო. 21-ე ს-შიც ასეა – მწერლის მოვალეობა პირდაპირაა გადაჯაჭვული პოლიტიკასთან. მედია პლატფორმებმა მხოლოდ ახალი შესაძლებლობები გააჩინა ამ მხრივ. მხატვრულ პროდუქციაზე, მის თემატიკაზე, სტილზე ეკონომიკურმა უკანსვლამ, რევილუციებმა და კონფლიქტებმა მოახდინა გავლენა. მაგ., ერაყში 90-იანი წლების ომმა და 2003 წელს აშშ-ის შესვლამ წარმოშვა უტყვ, დაკარგულ, დათრგუნულ ადამიანთა მძიმე ისტორიული ნარატივები, სადაც ერაყელები მუდმივად მსხვერპლის როლში არიან. 2003 წლის შემდეგ ერაყულ რომანებში მომძლავრებული საშინელებათა ესთეტიკის გამო ხშირად იყენებენ ტერმინს *პოსტკოლონიური გოთიკური რომანი* (Albers, 2021, p. 47). ბლოგების გარდა პოლიტიზირებულ მწერლობას დღეს ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ციხის მწერლობა, დოკუმენტური პროზა. მნიშვნელოვანია ამ პროზის როლი ერთი მხრივ, „არაბული გაზაფხულის“ შექმნაში, მეორე მხრივ, მის დოკუმენტირებაში თვითმხილველთა მიერ (Yazbek, 2013, p. 12). ამიტომ 2011 წლის შემდეგ განსაკუთრებით იგრძნობა დოკუმენტური პროზის მნიშვნელობა. თუმცა ავტორიტარულ რეჟიმებთან დაპირისპირება ჩანს ყველგან, ვიზუალურ ხელოვნებაშიც კი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გასულ საუკუნეში ერთგვარი უფსკრული არსებობდა ინტელიგენციის მიერ წარმოებულ დომინანტურ რეპრეზენტაციასა და „მასკულტურას“ შორის, რის ერთ-ერთ მიზეზადაც არაბული ქვეყნების უმრავლესობაში გამეფებული ტოტალიტარული ატმოსფეროც შეიძლება ჩაითვალოს. ასეთ გარემოში მკითხველს კანონიკურად დადგენილი ლიტერატურა მიეწოდება. რ. ჟაკმოს აზრით, წიგნის კითხვაც კი როგორც სოციალური ჩვევა არაბთა საშუალო ფენების დიდ ნაწილში ვერ განვითარდა იმიტომ, რომ ის უტილიტარულ აზროვნებასთან უფრო იყო დაკავშირებული, ვიდრე ესთეტიკური სიამოვნების მიღებასთან. ერთ-ერთი სოციალური გამოკითხვის თანახმად, მაგ., ეგვიპტელთა დიდი უმრავლესობა კითხულობდა რელიგიურ წიგნებს, შედარებით ნაკლები – კონკრეტულ სფეროში თვითგანვითარებისთვის და ყველაზე ცოტა – საკუთარი სიამოვნებისთვის. (Jacquemond, 2013, p. 146) 70-იანი წლებიდან 2010-იან წლებამდე პოტენციური არაბი მკითხველის რაოდენობა თითქმის გაორმაგდა, თუმცა ჟაკმო ფიქრობს, რომ წიგნის ბაზარი და მკითხველი აუდიტორია შესაბამისად არ გაზრდილა. ამის მიზეზები ნათელია – ეგვიპტური საგანმანათლებლო სისტემა არ ზრდის მკითხველებს, წიგნის მოყვარულებს, არ წაახალისებს მათ. საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი რეალურად არ არსებობს. 21-ე ს-ის დასაწყისში გახალგაზრდა ავტორების მკითხველი აუდიტორიის უმეტესობა მდედრობითი სქესის იყო – ქალაქელები საუნივერსიტეტო განათლებით, რომლებმაც მხატვრული ლიტერატურა 90-იან წლებში „აღმოაჩინეს“ იაფფასიანი პოპულარული დეტექტიური სერიების სახით. 2000-იანებში მათთვის აღმოჩენა იყო მაგ., ომარ ტაჰირის სატირული ლიტერატურა – მათივე სოციალ-კულტურული რეალობის, სასიყვარულო ურთიერთობებისა და ა.შ. ტრაგიკომიკური გამოხატულება. (Jacquemond, 2013, p. 147) ა. სტანტონი არ ეთანხმება ჟაკმოს იმაში, რომ არაბები ცოტას კითხულობენ – მარტო კაიროს წიგნის

¹ იგულისხმება არაბული ქვეყნებიდან ევროპაში გადასახლებულთა ერთ-ერთი ბოლო ნაკადი.

ფესტივალს 2020 წელს ორი კვირის განმავლობაში 3.5 მლნ. ვიზიტორი ჰყავდა. მკვლევარს მიაჩნია, რომ უსისტემობა, წიგნის ბაზრის სტრუქტურისა თუ წიგნის გამოცემისა და გავრცელების მარკეტინგული სისტემის სისუსტე და არაადეკვატური სადისტრიბუციო ქსელი უფროა იმის მიზეზი, რომ ერთ არაბულ ქვეყანაში გამოცემული წიგნები ვერ მიეწოდება მეორეს და ისინი არარეგალურად, pdf ფორმატით ვრცელდება (Stanton, 2023, p. 148). ამიტომ თუ ვინმეს რამე არ აქვს წაკითხული, მხოლოდ უწიგნურობას ვერ დავაბრალებთ. თუ 21-ე ს-ში დაყოფა „ელიტურ“ და „პოპულარულ“ ლიტერატურად პირობითობად იქცა, მოიშალა ის ზღვარიც, კანონიკური ტექსტებისა და მასკულტურის მკითხველებს შორის რომ არსებობდა. დღეს საშუალო დონის მკითხველი შესაძლოა ელიტურ ტექსტს კითხულობდეს, მაღალი რანგის მკითხველი კი ინტერნეტიდან ქაჩავდეს მასკულტურის ნიმუშს. კითხულობენ როგორც კანონიკურ და აღიარებულ ავტორებს (მაჰმუდ აბას ალ-აკადი, თავფიკ ალ-ჰაქიმი, ნაჯიბ მაჰფუზი, ტაჰა ჰუსეინი, იუსუფ იდრისი, სუნ ალ-ალაჰი იბრაჰიმი, ალ-ლიტანი...), ისე „არაკანონიკურს“ (ნავალ ალ-სადავი, იუსუფ ალ-სიბა'ი...)

რაც შეეხება საგამომცემლო პოლიტიკის საკითხს არაბულ ქვეყნებში, აქაც გასულ საუკუნესთან შედარებით მდგომარეობა შეიცვალა. წიგნის გამოცემის კუთხით ეგვიპტე ლიდერობდა, მას მოსდევდა ლიბანი (Jacquemond, 2013, p. 145). მიუხედავად იმისა, რომ 70-იანი წლების ბოლოდან ეგვიპტის მთავრობამ ლიბერალიზაციისკენ აიღო გეზი, სადათსაც და მუბარაქსაც მკაცრი კონტროლი ჰქონდათ დაწესებული საგამომცემლო საქმიანობაზე. ყველა დიდი საგამომცემლო სახელმწიფო იყო. კერძო საგამომცემლობებს მხოლოდ სახელმძღვანელოებისა და რელიგიური წიგნების დაბეჭდვა თუ შეეძლოთ. გასაკვირი არ არის, რომ ახალი ტიპის მწერლებმა თავიდანვე კერძო საგამომცემლობებს მიმართეს და წინამორბედთაგან განსხვავებით კავშირი არ ჰქონიათ სახელმწიფოს კულტურულ ან მედია აპარატთან. ამგვარად, ბესტსელერთა ახალი ნაკადის ფენომენის ახსნა შეიძლება სწორედ იმით, რომ მათი ავტორები შორს იყვნენ ოფიციალისგან და თავისუფალნი – სახელმწიფოს ჩარევისაგან. მუბარაქის რეჟიმის კულტურის პოლიტიკა ჩავარდა. მე-20-21-ე სს-ის მიჯნაზე საგამომცემლო საქმიანობამ პროგრესი განიცადა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი უახლესი არაბულ ლიტერატურულ პროცესებში წიგნის ბაზარს დაეკისრა – გამოჩნდა ბესტსელერები, რომლებიც არა მარტო კარგად იყიდება, არამედ წარმატებით ითარგმნება.¹ არაბულ სამყაროში ბესტსელერის გაჩენა დაკავშირებულია ისეთი ახალი ტიპის აქტორების გაჩენასთან როგორებიც არიან კერძო საგამომცემლები და წიგნის გამავრცელებლები (ავტორებთან თუ მკითხველებთან ერთად) (Jacquemond, 2013, p. 145).

თუმცა, ზოგჯერ არა მარტო ამა თუ იმ წიგნის ბესტსელერთა სიაში მოხვედრა იწვევს არაერთგვაროვან რეაქციას, არამედ მათი ლიტერატურული შეფასებაც. მაგ., არაბ კრტიკოსთა შორის დიდი ხმაური გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ნაჯიბ მაჰფუზის პრემია მიენიჭა ალჟირელი მწერალი ქალის აჰლამ ალ-მუსთაფანის 1998 წელს გამოქვეყნებულ რომანს „სხეულის მესხიერება“ (أحسان الله). ხოლო როცა საუდელი ავტორი ქალის რაჯა ას-სანის 2005 წელს გამოცემული რომანი –

¹ მაგ., 2002 წელს გამოიცა ალა ალ-ასვანის „იაკობინელთა სახლი“, რომლის მიხედვით 2006 წელს ფილმიც გადაიღეს. მუბარაქის მმართველობის ბოლო ათწლეულის ყველაზე აქტუალური შეკითხვა არაბულ ლიტერატურაში იყო ის, თუ როგორ მოიპოვა ასეთი პოპულარობა „იაკობინთა სახლმა“, რომელიც ჯერ პატარა, უმნიშვნელო საგამომცემლო „დარ მერით“-მა გამოსცა, შემდეგ წიგნების მაღაზიების ქსელისა და საგამომცემლობის მფლობელმა „მაქთაბათ მადბულიმ“, ბოლოს კი უმსხვილესმა კერძო საგამომცემლობამ „დარ ამ-შურუკ“. რომანი ინგლისურადაც ითარგმნა – 2009 წელს მსოფლიოში მეტილიონე ეგზემპლარი გაიყიდა. „იაკობინელთა სახლი“ ბევრ ტაბუს არღვევს, მათ შორის სექსუალურს. ამ რომანს ეგვიპტეში უცნობ ავტორთა ბესტსელერების მთელი სერია მოჰყვა (მათ შორისაა ხალიდ ალ-ხამისის (1962-) „ტაქსი“ ოცდაორი ხელახალი გამოცემით, რომელიც არ შედის მხატვრული ლიტერატურის (fiction) კატეგორიაში – ეს სატირული (أب ساخر) ლიტერატურაა). აშკარა იყო, რომ არაბულ მწერლობაში ახალი ტენდენცია გამოიკვეთა. თუ თავიდან ამ ნაწარმოებებს ამრეზით უყურებდნენ, „იაკობინელთა სახლი“ დღეს ევროპულ საუნივერსიტეტო პროგრამებშიც კია შეტანილი.

არაკანონიკური, არაელიტარული მწერლობის ნიმუში – „არ-რიადის გოგონები“ (بنات الرياض) დასავლურმა კრიტიკამ შეაქო, არაბ ლიტერატურათმცოდნეთა ნაწილმა ევროპელთა ეს ადფრთოვანება შეაფასა როგორც ორიენტალიზმის გამოვლინება, რაკი ამგვარი რომანები არაბული ლიტერატურული რეალობის ნამდვილ სურათს არ წარმოაჩენენ, ევროპელები კი არაბული თხრობის მაღალი ხელოვნების ნაცვლად კლიშე, იაფფასიანი ნაწერებით ინტერესდებიან, ისეთით, დასავლეთის უპირატესობას რომ წარმოაჩენს. „არ-რიადის გოგონები“ ელექტრონული წერილების ფორმატით გადმოგვცემს ახალგაზრდა საუდელი ქალების გრძნობებსა თუ დამოკიდებულებებს. არაბ კრიტიკოსთა აზრი, რომელიც არაბულ კანონს ეყრდნობა და ხშირად განსხვავებულია ევროპული აღქმისგან, კიდევ უფრო საინტერესოა იმ პირობებში, როცა ლიტერატურულ პროცესებს ბაზარი და საერთაშორისო თუ ადგილობრივი ლიტერატურული ჯილდოები არეგულირებენ და არა პროფესიონალური კრიტიკა. ეს არც თუ ისე ობიექტურად შეფასებული წიგნების ნუსხა ადრე თუ გვიან სხვა ენებზე სათარგმნი წიგნების სიაშიც ინაცვლებს.

არაბული პროზის გლობალურ სივრცეში შემოტანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად რჩება IPAF (International Prize for Arabic Fiction) – აბუ დაბის მიერ დაფინანსებული არაბული მხატვრული პროზის ჯილდო, რომელსაც საერთაშორისო ჟიური გასცემს (მასში შედიან როგორც არაბი, ისე არაარაბი წევრები). ასეთი ჯილდოები ხელს უწყობენ დასავლური კანონის შექმნას, რაც, შესაძლოა ავთენტიკურ ხედვას არ ემთხვეოდეს. საერთაშორისო ჯილდოზე ამა თუ იმ არაბი მწერლის წარდგენის პროცესს ახლავს მოკლე ვიდეოების გავრცელება, რომელიც დღეს მსოფლიო დონეზე ცნობადობის მთავარი იარაღი ხდება. „არაბულ ბუკერად“ წოდებული IPAF მოკლე სიაში მოხვედრილი არაბი ავტორების ვიდეოებს ინგლისური სუბტიტრებით აქვეყნებს. გაჩნდა სპეციალური სატელევიზიო გადაცემები, რომლებიც სწორედ იმ ავტორებით ინტერესდებიან, მოკლე სიაში რომ მოხვდნენ. ქ. დოზიოს აზრით, ასეთი ვიდეოების გავრცელება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არაბული რომანის კანონიზაციაზე. (Dozio, 2020, p. 105) არაბი ინტელექტუალის რა იმიჯს სთავაზობენ ისინი მსოფლიოს თუ ადგილობრივ მოსახლეობას?! ამ საკითხის შესწავლა საინტერესოა როგორც ლიტერატურის ისტორიის, ისე თარგმნის პოლიტიკის და მედიის მეცნიერებების კუთხით. დოზიოს მიერ შესწავლილი ვიდეოები და სატელევიზიო გადაცემები ზოგ შემთხვევაში სწორედ „არაკანონიკურ“ არაბულ სახეებს წამოსწევენ წინ. სხვა სიტყვებით, პოპულარიზაციას უწყვენ არაბული ლიტერატურული კრიტიკის მიერ უარყოფილ ავტორებს (Dozio, 2020, p. 120). ამ შემთხვევაში დასავლურ ხედვას (resp. ე.წ. დასავლურ კანონს) უპირატესობა ენიჭება ადგილობრივ ხედვასთან, არაბულ ლიტერატურულ კანონთან შედარებით.

ლიტერატურული ჯილდოების გაცემის პრაქტიკა მჭიდრო კავშირშია არაბული ტექსტების ამა თუ იმ ენაზე თარგმნის პოლიტიკასთან. 2008 წლიდან (სწორედ ამ წელს დაარსდა ე.წ. „არაბული ბუკერი“) IPAF-ით დაჯილდოვებული თუ მის მოკლე სიაში მოხვედრილი თითქმის ყველა რომანი ითარგმნა ინგლისურად, რაც არაბულ ქვეყნებში გამოცემული პროდუქციის საერთაშორისო დონეზე პოპულარიზაციის უმთავრესი საშუალებაა. სათარგმნ არაბულ წიგნთა ნუსხაში ხშირად ხვდება ასევე ნაწარმოებები, რომლებსაც ადგილობრივი ჯილდოები აქვთ მოპოვებული. 2000-იანი წლებიდან კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაბული ბესტსელერის შექმნას დიდად უწყობს ხელს ესა თუ ის ადგილობრივი ლიტერატურული ჯილდოც და წიგნის ბაზარიც. მასშტაბური გამომცემლობები ბაზარზე დამკვიდრებისთვის განსაკუთრებულად ზრუნავენ. თავად ადგენენ ბესტსელერთა სიას და წიგნს ყდაზე აწერენ, რომ ის საუკეთესოდ გაყიდვადია. ეს გამომცემლობები ძირითადად საუდის არაბეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა და აქ გამართული საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე ინტერნაციონალიზირდა. რამდენად ობიექტურადაა შერჩეული სათარგმნ წიგნთა ნუსხა მაშინ, როცა აბუ დაბის ბაზრობაზე ჩასულმა დასავლელი გამომცემლების უმრავლესობამ არ იცის არაბული და მხოლოდ კერძო გამომცემლობების მიერ შეთავაზებული სიის მონა-

ცემებზე და მოკიდებული?! ისინი თავად ფაქტობრივად ვერაფერს აფასებენ. ამიტომ ინგლისურად სათარგმნი, საერთაშორისო ბაზარზე მოსახვედრი არაბული ლიტერატურის სელექციის პროცესიც ეჭვს ბადებს, რაკი ეს ტექსტები რეალურად ადგილობრივმა თუ საერთაშორისო ლიტერატურულმა პრიზებმა, ჟურნალებმა, ვიდეოებმა, გადაცემებმა და ბაზარმა გახადა პოპულარული და არა კომპეტენტურმა კრიტიკამ. პრიზების ასეთ გავლენას სათარგმნი ლიტერატურის შერჩევაზე კი კრიტიკულად არავინ აფასებს.

ლიტერატურული ჯილდოების გაცემასთან ერთად დგება საკითხი, თუ რამდენად თარგმნადია ეს ტექსტები სხვადასხვა ენაზე, რამდენად წაკითხვადია ის დასავლეთში. გახდება თუ ვერა არაბული პროზის ეს „რჩეული“ ნიმუშები მსოფლიო ლიტერატურის ნაწილი და რამდენად კარგად წარმოაჩენენ ისინი თანამედროვე არაბულ ნარატიულ ხელოვნებას მსოფლიო ასპარეზზე?! ის, რომ ხელოვნების ნიმუშის წარმატება ბაზარზეა დამოკიდებული, გლობალური მოვლენაა და მხოლოდ არაბულ პროზას არ ეხება. ა. სტანტონი ლიტერატურულ მონოკულტურას უსვამს ხაზს და აცხადებს: „მსოფლიო ლიტერატურა ჰომოგენურია, ელიტალურია, გლობალური ბაზრის გავლენის ქვეშაა. არაევროპული ლიტერატურული კორპუსის წარმატებასაც კომერცია განაპირობებს“ (Stanton, 2023, p. 143).

შედეგი კი გახლავთ ის, რომ არაბებმა დაიწყეს დასავლური აუდიტორიისთვის წერა. გლობალურ კულტურულ ბაზარზე გასვლის სურვილი დიდია, ინდივიდუალური მცდელობები – ხშირი. ცალკეულ არაბ ავტორებს ევროპელ მკითხველთა ყურადღების მიპყრობა და პირდაპირ დასავლური ლიტერატურული ბაზრის დაპყრობა სურთ. რას აკეთებენ ამისთვის? უცხო ენაზე იწყებენ წერას.¹ ასეთი ავტორები ხშირად ევროპის მიერ დაკვეთილ თემებზე თხზავენ, ისეთებზე, როგორცაა ისლამოფობია და არაბი ქალების მდგომარეობა. გამოდის, რომ ამ შემთხვევაში არაბი მწერალი წერს არა იმას, რაც თავად აწუხებს, რასაც პირადად გრძნობს ან განიცდის, წერს არა არაბი მკითხველისთვის, არამედ დასავლეთის მოსაწონად და იმისთვის, რომ ის აღიარონ სხვაგან (რაც ავტორმა ტურად საკუთარ ქვეყანაში აღიარებასაც ნიშნავს). მთავარია, კარგად გაიყიდოს. ამ შემთხვევაში მას რეალურად არაბული, ავთენტური პრობლემატიკა კი არ გააქვს საზღვრებს გარეთ, არამედ დაკვეთილი პროდუქცია. ის არაბ საზოგადოებას და მკითხველს კი არ მიმართავს, არამედ წერისას ქვეცნობიერად დასავლელი მკითხველი ჰყავს წარმოსახული, თუმცა გამონაკლისებიც არსებობს, როცა კარგ მწერალს საკუთარი ხედვა გააქვს საერთაშორისო ასპარეზზე.

ა. სტანტონს მიაჩნია, რომ 21-ე ს-ში არაბული რომანის განსაკუთრებული აყვავებაც კი დასავლეთის და გლობალური საგამომცემლო ინდუსტრიის ერთგვარ „დაკვეთასთან“ უფროა დაკავშირებული, რადგან არაბულ რეალობაში რომანი ასეთი პოპულარული არ ყოფილა. (Stanton, 2023, p. 146) ამ პროზაულ ჟანრს საერთოდ არ ჰქონია ავტოქტონური ფესვები საკუთარ ლიტერატურულ ტრადიციაში, ის *ნაჰდას* (ე.წ. „არაბული რენესანსის“) დროს – მე-19-მე-20 სს-ის მიჯნაზე შემოვიდა ევროპიდან. მაშ, ის ლიტერატურული ტრადიციიდან კი არ წარმოიშვა, არამედ კულტურული ტრანსფერიდან. თუმცა, მასში თავიდანვე ჩანდა ტრადიციული არაბული ლიტერატურული ჟანრის – მაკამის კვალი. თანამედროვე არაბული ნარატივი მუჰამად ალ-მუჰაილიჰის ე.წ. მაკამა-რომანიდანაც ხომ იღებს სათავეს, რაც დასავლურმა ლიტერატურულმა კანონმა მიჩქმალა „ფსევდო-მაკამის“ ნეო-არქაული სტილის გამო. ა. სტანტონი ფიქრობს, რომ 21-ე ს-შიც კი არაბული რომანი

¹ მაგ. მაროკოელი ტაჰირ ბენ ჟალუნი (1944-) მხოლოდ ფრანგულად წერს. ეგვიპტელ ახალგაზრდა ავტორებს, რომლებსაც არაბულად არაფერი გამოუქვეყნებიათ და პირდაპირ ინგლისურად იწყებენ რომანების წერას, თავის ერთ-ერთ ესეში აკრიტიკებს ეგვიპტელი მწერალი იბრაჰიმ ასლანი. იხ: *ابراهيم اصلان, خلوة الغليان, دار الشروق, القاهرة ط 2, 2010*

უნდა განიხილებოდეს როგორც მაკამის გაგრძელებაც და არა როგორც გადახრა არაბული მწერლობიდან იმისთვის, რომ ის მსოფლიო ლიტერატურის ნაწილი გახდეს. (Stanton, 2023, 147)

თუ ცოტა ხნის წინ არაბი კრიტიკოსები არაბ მწერლებს ადანაშაულებდნენ – დასავლელი მკითხველებისთვის ქმნიანო, ახლა ამბობენ – პრიზის მიმნიჭებელი კომიტეტისთვის ქმნიანო. ტერმინიც კი შემოვიდა – „პრიზის რომანი“, თემატიკისა და სტილისტიკის გარკვეული ფორმალური რეცეპტით რომ გამოირჩევა. თუმცა არის უფრო ბუნებრივი და ჭრელი სტილით გამორჩეული რომანები, რომლებიც ასევე კარგად იყიდება. ცხადია, როგორც ყველგან მთელ მსოფლიოში, არაბულ სამყაროშიც ხდება წიგნის როგორც ესთეტიკური და როგორც კომერციული ფასეულობის აღრევა. კომერციულ-ინსტიტუციური შეფასების მძლავრი ელიტარული სისტემის გარდა აქაც არსებობს ე.წ. „ქვედა“ ანუ პოპულარული ლიტერატურული კრიტიკა, რაც სოცმედიებში დაახლოებით ორი მილიონი მკითხველის კომენტარებითა და შეფასებებით იქმნება. მართალია, საკულტო რომანები საპრიზო მოკლე სიებში ვერ ხვდება, მაგრამ ქალაქელებს შორის პოპულარულია. ბლოგის ნაწერები კი მეტად გახსნილია და ახალგაზრდა თაობის პრობლემებს მარტივი ენით გადმოგვცემს. ახალგაზრდებში ინტერნეტ ლიტერატურა ყველაზე სწრაფად ვრცელდება.

მთელი გასული საუკუნის განმავლობაში არაბული სამყარო პოლიტიკურად სცილდებოდა დასავლეთს, თუმცა ლიტერატურულად მეტ გავლენას განიცდიდა მისას. (El-Ariss, 2022, p. 414) არაბებმა ბევრი რამ აიღეს მსოფლიო ლიტერატურიდან, მაგრამ თავიანთი წვლილიც შეიტანეს მის განვითარებაში – ვგულისხმობ პოეტებს, რომანისტებსა და დრამატურგებს, რომლებიც ევროპულ ენებზე წერდნენ. დღეს რა ფორმით ხდება არაბული პროდუქციის მსოფლიოს ლიტერატურის ნაწილად ქცევა?

არის ისეთი არაბული რომანები, რომელიც პოპულარულია საზღვარგარეთ, თუმცა ლოკალურად შეუმჩნეველი რჩება. არის ნაწარმოებები, რომლებიც აღიარებულია ადგილობრივ ლიტერატურულ წრეებში, მაგრამ ვერც არაბული წიგნის ბაზარს იპყრობს, ვერც – საერთაშორისოს. ერთი მხრივ, გვაქვს მსოფლიო პრესტიჟი, მეორე მხრივ, წიგნის ეროვნული ბაზარი. შესაძლოა რომელიმე კარგი არაბული ტექსტი ორივეს ყურადღების მიღმა დარჩეს. ძალაშია დიქოტომიები: რეგიონალური – გლობალური, ესთეტიკური – წაკითხვადი. ბოლო პერიოდში არაბული მწერლობის გლობალურ ბაზარზე გასვლასთან ერთად მიმდინარეობს ევროპის დეცენტრალიზაციის პროცესიც – ცდილობენ მეტი ყურადღება გაამახვილონ ავთენტურად, არაბულ კრიტიკულ ხედვაზე, თუმცა არაბული ლიტერატურის განხილვა ჯერ ისევ ჟურნალებზე, ჟილდოებზე და გამომცემლობებზეა მიბმული. ფაქტია, დასავლურ პრიზებს ჯერ კიდევ დიდი როლი აქვთ არაბული, როგორც რეგიონული ლიტერატურის გამსოფლიოებაში, საერთაშორისო ბაზარზე გატანაში, არაბ თუ არაარაბ მკითხველთა შორის გავრცელებაში. (Stanton, 2023, p. 152)

რაკი არაბული ლიტერატურის მსოფლიოობას განაპირობებს ის, თუ რამდენად ბევრი კითხულობს მას არაბული სამყაროს გარეთ, თარგმნის არსებული პოლიტიკის გამო თარგმანმა შესაძლოა უარყოფითი გავლენაც მოახდინოს არაბული იდენტობების კონცეპტუალიზაციაზე დასავლეთში, თუმცა მას აქვს ასევე შანსი, რომ დასავლელი მკითხველი არაბული სამყაროს სხვადასხვა ცხოვრებისეულ ასპექტში ჩაახედოს. მ. ბუთის აზრით, ბევრი რამ თავად მთარგმნელებზეა დამოკიდებული – მნიშვნელობა აქვს იმას, თუ დასავლელი მთარგმნელი რამდენად აღიქვამს არაბულ სათარგმნ მასალას ხელოვნების ნიმუშად და იმას, უყურებს და აფასებს თუ არა მთარგმნელი ორიგინალს როგორც ნამდვილ ლიტერატურას. (Stanton, 2023, p. 152) ზოგი მთარგმნელი კატეგორიულად უარყოფს აზრს, რომ სათარგმნი მასალა აუცილებლად დასავლური ბაზრის მოთხოვნებს ან ანგლოფონ მკითხველს უნდა აკმაყოფილებდეს, ზოგი თარგმანი კი მეტად მოშინაურებულია...

21-ე ს-ის არაბული ლიტერატურის როგორც კულტურის პროდუქტის წარმოებასა და გავრცელებაზე მოქმედებენ ისეთი ფაქტორები, როგორცაა წიგნის ბაზარი, ცენზურა (მათ შორის

რელიგიური), კულტურის სფეროში მოთამაშეთა (გამომცემებელთა თუ გამავრცელებელთა) იერარქია, ადგილობრივი, საერთაშორისო ჯილდოები, სოციალური მედია და უცხო ენაზე სა-თარგმნი წიგნების შერჩევის პოლიტიკა. ვფიქრობ, ყოველივე ამის გათვალისწინებით, არაბული მწერლობის მსოფლიო ლიტერატურის ღირსეულ ნაწილად ქცევაში განსაკუთრებული როლი ეკის-რება მთარგმნელის კეთილსინდისიერ, პროფესიონალურ არჩევანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- დოლიძე, ნ. (2005). 'აბბას ალ-ასვანის მაკამები, „აღმოსავლეთი და კავკასია“, 3, თბილისი: თსუ, 310-313.
- დოლიძე, ნ. (2006). მაკამა „არაბული აღორძინების“ ეპოქაში, „აღმოსავლეთი და კავკასია“, თბილისი: 4, თსუ, 199-204.
- Albers Y., Braune I., Junge Ch., Lang F., Pannewick F. (2021). Arabistik - Eine Literatur und Kulturwissenschaftliche Einführung, J.B. Metzler, ISBN 978-3-476-05680-1
- El-Ariss T. (2022). The World of Arabic Literature, Routledge Companion to World Literature (2nd Edition), Eds. David Damrosch, Theo D'haen, and Djelal Kadir, Routledge.
- Dozio C. (2020). The Video as a Canonization Chanel for Contemporary Arabic Fiction, Journal of Arabic and Islamic Studies, #20,105-124
- Jabra I. Jabra (1971). Modern Arabic Literature and the West, Journal of Arabic Literature, Vol. II,76-91
- Jacquemond R. (2013). The Yacoubian Building and its sisters. Reflections on Readership and Written Culture in Modern Egypt. In: Popular Culture in the Middle East and North Africa: A Postcolonial Outlook, ed. by Walid el-Hamamsi, Mounira Soliman, NY and London: Routledge, 144-161
- Stanton, A.Z. (2023). The Worlding of Arabic Literature: Language, Affect, and the Ethics of Translatability, Fordham University Press.
- Yazbek S. (2013). Introduction, in: Layla Al-Zubaidi / Matthew Cassel (Hg.): Writing Revolution: The Voices from Tunis to Damascus. London.
- ابراهيم اصلان (2010), *خلوة الغلبان*, دار الشروق, القاهرة ط ٢.
- عباس الأسواني (1970). المقامات الأسوانية، القاهرة.

References:

- Albers Y., Braune I., Junge Ch., Lang F., Pannewick F. (2021). Arabistik - Eine Literatur und Kulturwissenschaftliche Einführung, J.B. Metzler, ISBN 978-3-476-05680-1
- El-Ariss T. (2022). The World of Arabic Literature, Routledge Companion to World Literature (2nd Edition), Eds. David Damrosch, Theo D'haen, and Djelal Kadir, Routledge.
- Dolidze, N. (2005). 'Abbas al-Aswanis mak'amebi. „Aghmosavleti da k'avk'asia“, 3. [Maqams of 'Abbas al-Aswan, "East and Caucasus", 3]. Tbilisi: tsu, 310-313.
- Dolidze, N. (2006). Mak'ama „arabuli aghordzinebis“ ep'okashi. „Aghmosavleti da k'avk'asia“, 4. [Maqam in the Era of the "Arab Revival", "East and Caucasus", 4]. Tbilisi: tsu, 199-204.
- Dozio C. (2020). The Video as a Canonization Chanel for Contemporary Arabic Fiction, Journal of Arabic and Islamic Studies, #20,105-124
- Jabra I. Jabra (1971). Modern Arabic Literature and the West, Journal of Arabic Literature, Vol. II,76-91
- Jacquemond R. (2013). The Yacoubian Building and its sisters. Reflections on Readership and Written Culture in Modern Egypt. In: Popular Culture in the Middle East and North Africa: A Postcolonial Outlook, ed. by Walid el-Hamamsi, Mounira Soliman, NY and London: Routledge, 144-161
- Stanton, A.Z. (2023). The Worlding of Arabic Literature: Language, Affect, and the Ethics of Translatability, Fordham University Press.
- Yazbek S. (2013). Introduction, in: Layla Al-Zubaidi / Matthew Cassel (Hg.): Writing Revolution: The Voices from Tunis to Damascus. London.